10. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Живописная школа Сванети, Тб., 1983
11. Н. Аладашвили, Композиция алтарной конхи в живописи Сванети, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983
12. Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983
13. Ир. Иакобашвили, Материалы и техника исполнения ранних стеновых росписей Верхней Сванетии (предварительные замечания), ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983
14. მ. ყენია, ანსამბლის საერთო გადაწყვეტის ზოგი თავისებურება სვანეთის ადრულ მოხატულობებში, დიტერატურა და ხელოვნება, 1997, №1-2
15. რ. ყენია, ნ. აღადაშვილი, ზემო სვანეთი. შუა საუკუნეების ხელოვნება, საქართველოს მეგზური, II, თბ., 2000
16. მ. ყენია, ადრული და განვითარებული შუა საუკუნეების მოხატულობების საერთო იდეური გადაწყვეტის ერთი ტენდენცია, ქართული ხელოვნების ნარკვევები, III, თბ., 2004
17. მ. ყენია, გამოსახვის ხერხები საქართველოს ადრულ მოხატულობებში (ლაღამის ქვედა კელესიის თავდაპირველი მხატვრობის მაგალითზე), საქართველოს სიძველენი, 2006, №9
18. მ. ყენია, ადრულ ქართულ მოხატულობათა პროგრამების თავისებურების გამო, საქართველოს სიძველენი, 2007, №11

გრაფიკული მასალა

მოხატულობის სქემები  
დაზიანებათა ამსახველი სქემები

ფოტომასალა

მიმართული შუქით გადაღებული

ხარტიკო მასალა

არ მოიპოვება

ხარტიკო წყაროები

ნატარებული ტექნიკური კვლევის ანგარიში

არ მოიპოვება

ნატარებული საკონსერვაციო სამუშაოების ანგარიში

არ მოიპოვება

## მოხატულობის აღწერა

ძირითადი ფენის/ფენათა გამოსახულებების ტომოგრაფია

საკუროთხვევლი: კონქი – ვედრება;

დარბაზი: I რეგისტრი: კამარის ჩრდილოეთი ფერდი – შობა; კამარის სამხრეთი ფერდი – წმ. მხედართა პერალდიკური კომპოზიცია; II რეგისტრი: ჩრდილოეთი

კედელი - მიძინება; სამხრეთი კედელი - წმ. კელესის მამანი; დასავლეთი კედელი - ამადლება;

#### წარწერები

ისტორიული

გრაფიკულზე

არქიტექტურულ ელემენტებზე

განმარტებითი

სცენათა განმარტებითი წარწერები

ცალკეულ გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები

#### ძირითადი ფენის/ფენათა გამოსახულებების იკონოგრაფიული აღწერა

მხატვრობის ძლიერი გამჭვარტლისა და დაზიანებია გამო, რთულდება კომპოზიციათა აღქმა და იკონოგრაფიულ დეტალთა გარნევა. მთელ საკუთხეველში ვედრების შედარებით გაურცობილი რედაქციაა გაშლილი. კონქის ძირითად ნაწილს უსურგო საყდარზე მჯდომი მაცხოურის ფიგურა იკავებს, ფართოდ განპყრობილი მაკუთხეველი მარჯვენით და გახსნილი სახარებით მარცხენა ხელში. სახარებაზე მოთავსებული წარწერა ერთიანადაა დადუპული. მაცხოურის ორსავე მხარეს, კონქის კიდევებისკენ გადაწეულ მთავარანგელოზთა ფიგურებია, ექსპრესიულად ზეაწეული ფრთებით, ხოლო მკვედრებელ წინაშემდგომთა ტრადიციული ფიგურები აფხიდის სარკმლის ორსავე მხარესაა განაწილებული. შობა ურცული რედაქციითაა წარმოდგენილი - კომპოზიციის ქვედა ნაწილში ჩანს სარეცელზე მჯდომი ღმრთისმშობელი, მის გვერდით, მარცხენა კუთხეში მჯდომი იოსები, მის ზემოთ, ანგელოზის დიდი ზომის ფიგურა, რომელიც მოგვებს მოუძღვის ყრმისკენ (იშუიათი იკონოგრაფიული მოტივი). კომპოზიციის მარცხენა კიდეში გამოსახული მოგვნი, ძღუენით წინგაწვდილ ხელებში, ამჟამად ძლივს იხილვება. ღმრთისმშობლის მარჯვნივ გაიბრუნა ყრმის განბანვის ეპიზოდი - მოზრდილი ემბახი, მასში ყრმა იესოთი და თითო ბებიაქალი ემბახის ორსავე მხარეს. კომპოზიციის ზედა მარჯვენა კუთხეში ჩანს ახალგაზრდა მწყემსისა და კიდევ ერთი ფიგურის სილუეტები. კამარის ჩრდილოეთ ფერდზე გაშლილ წმ. მხედართა, ამჟამად ძლიერ დაზიანებულ, პერალდიკურ კომპოზიციაში გაიბრუნა ერთმანეთისკენ მიქცეულ, ცხენებზე ამხედრებულ წმ. მეომართა სილუეტები ზურგსუკან აფრიალებული მოსასხამებით. სამხრეთი კედლის რეგისტრში გაიბრუნა წმ. კელესის მამათა ოთხი ფრონტალური ფიგურა, დახურული სახარებებით ხელში. ურცული რედაქციით წარმოდგენილი მიძინება ძლიერაა შეღწახული. ამჟამად გაიბრუნა სარეცლის და მასზე დასვენებული ღმრთისმშობლის ფიგურის საერთო მონახაზი, მაცხოურის ფიგურა ღმრთისმშობლის ხელით ხელში და სარეცლის გარშემო დაჯგუფებულ მოციქულთა ფიგურების ფრაგმენტები. ახალგაზრდა მოციქულის სახე, ჯერ კიდევ 1970-იან წლებში კარგად შემორჩენილი, რომელიც ნათელ წარმოდგენას ქმნიდა სახის წერის მანერაზე ამ მოხატულობაში, ამჟამად სრულიად წარხოცილია. მთელს დასავლეთ კედელზე განთავსებული ამადლეების სცენიდან შემორჩენილია კომპოზიციის ზედა ნაწილში მრგვალ მანდორლაში მოქცეული მაცხოურისა და მისი ამამადლებელი ორი ანგელოზის ფიგურები, ხოლო კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოსახულ ღმრთისმშობლისა და წმ. მოციქულთა ჯგუფისგან მხოლოდ შარავანდთა მკრთალი მონახაზი იხილვება. მთელი მოხატულობისთვის დამახასიათებელი ფონების ერთიანი შევსება-“დაჩითვა” დუკორატიული ვარდულებით ამჟამად დიდწილად დაკარგულია და ძლიერ შეღწახულ ფრაგმენტებად ჩანს წმ. მეომართა პერალდიკურ კომპოზიციაში და წმ. კელესის მამათა ფიგურებთან.

ძირითადი ფუნქს/ფუნქციონალური სტრუქტურული დახასიათება

იფხის ეკლესიის მოხატულობა ადრეული ხანის სვანეთის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი გვითვალსაჩინოებს ამ დროის სვანეთის მოხატულობებში დასახულ ძიებებს მოხატულობის საერთო ანსამბლის მხატვრულად გამოდინებულ სისტემად გაფორმება-ჩამოყალიბების მიმართულებით. მხატვრობის სტილური თავისებურებანი – ფიგურათა სახისა და სამოსის დამუშავების მანერა, ხაზის ექსპრესიული გამომსახველობა, ფონების ერთიანი შუვსება დეკორატიული ვარდულებით – იმაზე მეტყველებს, რომ იფხის მხატვრობა იმავე ოსტატს ეკუთვნის, ვინც აცის წმ. შთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა შეასრულა.

ოსტატთა ხელწერა

ქვედა ფუნქს/ფუნქციონალური აღწერა

ქვედა ფუნქს/ფუნქციონალური დახასიათება

გადაწერა-გაცხობულებები  
არ შეინიშნება

მოხატულობის რეპერტუარი

სკენები

შობა                      კედრება  
მიძინება  
ამაღლება

ც ა ლ კ ე მ დ გ ო მ ი   ფ ი გ უ რ ე ბ ი  
მაცხოვარი  
პანტოკრატორი

ცოფრი ძალნი  
შთავარანგელოზები

წინასწარმეტყველები

მოციქულები

ეკლესიის მამები

დაადნები

წმინდანები

საერო პირები

სიმბოლური გამოსახულებები

ორნამენტები

## მოხატულობის განთავსების ადგილები

### ნაგებობა

დარბაზული ეკლესია

### სათაფსი

ეკლესიის ძირითადი სივრცე

მცირე არქიტექტურული ფორმა

არქიტექტურული კომპონენტები

კონქი

კამარა

კედელი

## შესრულების ტექნიკა

### ნ ა ლ ე ს ო ბ ა

ფენათა რაოდენობა და სისქე

1 ფენა

ბატქაშის სისქე – 0,3-0,5 სმ.

ფენათა ძირითადი კომპონენტები და ინტრუსივები

სუფთა კირი შემაჯსებლის გარეშე

შხატურობის ტექნიკა

სეკო

შემკურული

პიგმენტები

წითელი ოქრა

ყვითელი ოქრა

მწვანე მიწა

ნახშირი

ორგანული წარმოშადლობის მოწითალო-ნარინჯისფერი პიგმენტი

მოხატვის მასალა

მოხატადებული ნახატი

საღებავით შესრულებული

გრაფია

ავტორისეული ცვლილებები

1970-იან წლებში ავტორისეული ცვლილებები შეინიშნებოდა მიძინების სცენაში (ბიბლიოგრაფია, 8)

## ფიზიკური მდგომარეობა

მოხატულობის ფართობი

მოხატულობის ფიზიკური მდგომარეობის სივრცითი შეფასება  
ცუდი

ნაღვსობის დაზიანება  
ამოფარდნილი ადგილები

ფარწერული ფენის დაზიანება  
ჩამოშლა  
პიგმენტების სახეცვლა  
დაბზარვა  
გამურვა  
ტუჩუის ფენა  
ნესტის ლაქები  
მექანიკური (ნაკაწრები, წარწერები)

დაზიანების მიზეზები  
მაღალი ტენიანობა  
ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა  
კონდენსაცია  
ვანდალიზმი

## დამატებითი ინფორმაცია

1. მოხატულობაზე ჩატარებული ჩარევის დოკუმენტაციის მოპოვება ამჟამად შეუძლებელია.
2. 2008 წელს ჩატარდა ეკლესიის მოხატულობის პასპორტიზაცია, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია

## მოხატულობის ზოგადი დახასიათება

### მოხატულობის სახელწოდება

**იფხის წმ. გიორგის ეკლესიის საფასადო მოხატულობა**

### მოხატულობის ფენათა რაოდენობა

ერთი

### მოხატულობის ფენათა ტიპოვრეაფია

მხატვრობა ეკლესიის საშხრეთ ფასადს ამკობს

### მოხატულობის ძირითადი ფენის/ფენათა თარიღი

XII-XIII სს-ის მიჯნა

### მოხატულობის ქვედა ფენის/ფენათა თარიღი

### ისტორიული ცნობები

ისტორიული ცნობები ეკლესიის შესახებ არ მოგვეპოვება

### მოხატულობის მოკლე მხატვრულ-ისტორიული დახასიათება

იფხის ეკლესიის საფასადო მოხატულობა წარმოაჩენს სვანეთში ეკლესიის ექსტერიერის მხატვრობით შემკობის თავისებურებებს და მონუმენტურ მხატვრობაში ფერწერული ტემპლონების იმიტაციის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

### ნატარებელი დონისხეებები

### მოსალოდნელი საშისწროება

ბათქაშის ჩამოცვენა

ფერწერული ფენის შემდგომი დაზიანება

### ნასატარებელი დონისხეებები

ფერწერული ფენის გამაგრება

გაფხვიერებული ბათქაშის გამაგრება

ნაღესობის კიდეების გამაგრება

## არსებული დოკუმენტაცია

### ბიბლიოგრაფია

1. Bernoville, La Svanetie libre, Par., 1875
2. А. Стоянов, Путешествие по Сванетии, Записки КОИРГО, Тиф., 1876, вып. 2
3. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ღუჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარ., 1937; *იგივე*: დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ტ. 2, თბ., 1991
4. Н. Аладашвили, А. Вольская, Фасадные росписи Верхней Сванети, Ars Georgica, 9 A, თბ., 1987
5. რ. ყენია, ნ. აღადაშვილი, ზემო სვანეთი. შუა საუკუნეების ხელოვნება, საქართველოს მეგზური, II, თბ., 2000

გრაფიკული მახალა  
მოხატულობის სქემები  
დაზიანებათა ამსახველი სქემები

ფოტომახალა  
მიმართული შუკით გადაღებული

ხარტიული მახალა  
არ მოიპოვება

ხარტიული წყაროები

ნატარებული ტექნიკური კვლევის ანგარიში  
არ მოიპოვება

ნატარებული საკონსერვაციო სამუშაოების ანგარიში  
არ მოიპოვება

## მოხატულობის აღწერა

ძირითადი ფენის/ფენათა გამოსახულებების ტოპოგრაფია  
სამხრეთი ფასადი – I რეგისტრი: ვედრების მრავალხატედი; II რეგისტრი: წმ. მე-  
ომართა რიგი

წ ა რ წ ე რ ე ბ ი  
ისტორიული  
გრაფიკულზე  
არქიტექტურულ ელემენტებზე  
განმარტებითი  
სცენათა განმარტებითი წარწერები  
ცალკეულ გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები

ძირითადი ფენის/ფენათა გამოსახულებების იკონოგრაფიული აღწერა  
იუხის საფასადო მხატვრობა ძლიერაა დაზიანებული და სამოსახულებათა თუ  
მათი თანმდევი სახელებითი წარწერების საგანგებოდ გადაფხეკის კვალი ემჩნე-  
ვა. II ნახევარფიგურისგან შედგენილი ვედრების გაერცობილი მრავალხატედი-  
დან – მაცხოურისა და წინაშემდგომთა გარდა, წმ. შთავარანგელოზნი, თავნი მო-  
ციქულნი და მახარებელნი – ამჟამად ძლიერ იხილება მაცხოურის სილუეტი,  
ღმრთისმშობელი მის მარცხნივ, მიქელ შთავარანგელოზი (ღმრთისმშობლის გვე-  
რდით), ფაქტიურად, მთლიანად დაღუპულია. მის გვერდით გაირჩევა მხოლოდ 2  
ნახევარფიგურის ქვედა ნაწილი, დანარჩენი გამოსახულებანი კი, ამ მხარეს,  
აღარ არსებობს. მაცხოურის გვერდით წარმოდგენილი წმ. იოანე ნათლისმცემ-  
ლის ნახევარფიგურა ძლიერ გაირჩევა, ისევე, როგორც ამ მხარეს გამოსახული  
დანარჩენი ოთხი ნახევარფიგურა. ასევე ფაქტიურად წარხიცილია II რეგისტრში  
5 ფიგურისგან შემდგარი წმ. მეომართა რიგი. ამჟამად იხილება ფრონტალურ  
ფიგურათა მკრთალი აბრისები და მოზრდილი მრგვალი ფარი ფახადის აღმოსა-  
ვლეთ კიდეში.

ძირითადი ფენის/ფენათა სტილისტური დახასიათება

იფხის ეკლესიის საფასადო მოხატულობა წარმოიჩენს სვანეთში ეკლესიის ექსტერიერის მხატვრობით შემკობის თავისებურებებს და მონუმენტურ მხატვრობაში ფერწერული ტემპლონების იმიტაციის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

ოხტატთა ხელწერა

ქუდა ფენის/ფენათა აღწერა

ქუდა ფენის/ფენათა სტილისტური დახასიათება

გადაწერა-გადახედულებები  
არ შეინიშნება

## მოხატულობის რეკონსტრუქცია

ხედვები

ვედრება

ცალკე მდგომი ფიგურები  
მაცხოვარი  
პანტოკრატორი

ცოფი ძაღვი  
მთაგარანგელოზები

წინასწარმეტყველები

მოციქულები  
თაენი მოციქულნი  
მახარებელნი

ეკლესიის მამები

დაკენები

წმინდანები

ხაერო პირები

სიმბოლური გამოსახულებები

ორნამენტები

## მოხატულობის განთავსების ადგილები

ნაგებობა  
დარბაზული ეკლესია

სათაფსი  
ექლესიის სამხრეთი ფასადი

მცირე არქიტექტურული ფორმა

არქიტექტურული კომპონენტები  
ექვლეო

## შესრულების ტექნიკა

ნ ა ლ ე ს ო ბ ა  
ფუნათა რათდენობა და სისქე  
1 ფენა

ფუნათა ძირითადი კომპონენტები და ინტრულიენტები

შხატურობის ტექნიკა

შემკერული

პიგმენტები

მონაბეის მახალა

მონამზადებელი ნახატი  
სადგებაეით შესრულებული

ავტორისეული ეკლიდებები  
არ შეინიშნება

## ფიზიკური მდგომარეობა

მონატულობის ფართობი

მონატულობის ფიზიკური მდგომარეობის სოგადი შეფასება  
ცუდი


ნაღესობის დაზიანება  
ამოუარდნილი ადგილები  
ექდელს მოცილებული ადგილები  
გაფხუერება


ფარწერული ფენის დაზიანება  
ნამოშლა  
აქერცველა  
გაფხუერება  
პიგმენტების სახეცველა  
მექანიკური (ვადაფხუეკილი)


დახიანების მოხსენები  
მაღალი ტენიანობა  
ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა  
კონდენსაცია  
ულტრაიისფერი სხივები  
კანდალიზმი


### დამატებითი ინფორმაცია


1. მოხატულობაზე განხორციელებული ჩარევის დოკუმენტაციის მოპოვება ამჟამად შეუძლებელია.
2. 2008 წელს ჩატარდა კვლევის მოხატულობის პასპორტიზაცია, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია











იფხის (მესტიის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის  
ეკლესიის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება და  
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა



შემსრულებელი: ა.ა.ი.პ. კავშირი ძველი საქართველო  
დავით გაგომიძე

*ა. გაგომიძე*



ქ. თბილისი 2014 წელი

## შესავალი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტო“-მ გამოაცხადა კონკურსი იფხის (მესტიის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მონატულობის წინასაპროექტო შეფასება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეფასების მომსახურების შესყიდვაზე.

ამასთან დაკავშირებით ააიპ კავშირი „ძველი საქართველო“-ს რესტავრატორებმა მოვაწყვეთ სამ დღიანი (26.07.2014 – 28.07.2014) ექსპედიცია სვანეთში. ექსპედიციის შემადგენლობა: მხატვარ-რესტავრატორები – დავით გაგოშიძე, დავით კობაიძე, რეზო ხოჯელანი და არქიტექტორ-რესტავრატორი – თენგიზ გაბუნია.



### ექსპედიციის მიზანი:

- კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობის შეფასება, დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- კედლის მხატვრობის დაზიანებათა იდენტიფიკაცია ვიზუალური დათვალიერების შედეგად (დაზიანებების სახეობები და სხვა);

- მოხატულობის დაზიანებებსა და კვლევის შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- მეთოდოლოგიის შეთავაზება საკონკურსო ჩასატარებელი სამუშაოების წარმოების თაობაზე და ძეგლის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე სამუშაო ჯგუფის პროფესიული შემადგენლობის შესახებ ხედვა;

### იფხის ჯგრაფის კვლევა

ლატალიის თემის სოფელ იფხის წმ. გიორგის ეკლესია სვანეთისთვის ტრადიციული, დარბაზული ტიპის მომცრო, აზიდული პროპორციების მქონე, შირიმის პატარა კვადრებით ნაგები ეკლესიაა. სრულიად სადა, დაუნაწვევებელ ინტერიერში მხოლოდ საკურთხეველის აფსიდი გამოიყოფა განიერი ერთსაფეხურიანი მხრებით. კონქს კუთხეებში პატარა თაროსებური კაპიტელები აქვს. სამხრეთ ფასადში მოწეობილ, ეკლესიაში ერთადერთი შესასვლელის გარედან სწორკუთხა დიობს, შიგნიდან ტიმპანის თაღოვანი არე უკეთდება. სარკმელი მხოლოდ ორია – საკურთხეველსა და სამხრეთ კედელზე, ამიტომაც განათება საკმაოდ მცირეა. საკურთხეველი ნაეიდან სამი საფეხურით არის ამადლებული, ხოლო ამ საფეხურებზე, ჩრდილოეთით საკურთხეველისწინა ჯვრის ქვით აგებული კვადრატული სადგამია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იფხში, სვანეთის სოფიურთი სხვა ეკლესიის მსგავსად, დიდი, ხის საკურთხეველისწინა ჯვარი თავდაპირველ ადგილზეა შემორჩენილი.

სვანეთის სხვა ეკლესიების მსგავსად, იფხშიც თავდაპირველი ქვის კანკელია სრული სახით მოღწეული – არქიტრავით დასრულებული, ორ წვირელ სვეტზე გადაყვანილი მხუბუქი თაღი. ამ თაღებიდან ცენტრალური გაცილებით განიერია, ხოლო გვერდითები საგრძნობლად მცირე. აღსანიშნავია სვეტების ბაზისების გადაწვევბა – კვადრატულ ფილაზე დადებულ ბურთულებში ზის სვეტი, ხოლო კაპიტელები ასევე კვადრატული ფილის ქვემოთ ჩამოსულ, თითქოს მცენარეული მოტივის იერის მქონე, დადარულ ნახევარბურთულას წარმოადგენს.

ეკლესიის ფასადები სადაა, მხოლოდ აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონში ვხედავთ მეტად თავისებურ რელიეფურ დეკორს – ზომორფულ და ასტრალურ ფიგურებს, ასევე ადამიანს ხელის ორ გამოსახულებას. აღსანიშნავია, რომ სვანეთში საფასადო რელიეფური დეკორის ნიმუშები საკმაოდ მწირია, რაც, ცხადია, ზრდის იფხის ეკლესიის მნიშვნელოვნებას.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ იფხში სხვადასხვა დროის მოხატულობებიც არის შემორჩენილი. ეკლესიის აგების თანადროული ინტერიერის მხატვრობა, რომელიც მთელს ინტერიერს ფარავს და XII-XIII საუკუნეთა მიჯნის სამხრეთი ფასადის მოხატულობა.

იფხის წმ. გიორგის ეკლესია მართლაც გამორჩეული ძეგლთაგანია, არა მარტო სვანეთის ხუროთმოძღვრებისთვის. მისი სადა, მწეობრივი კედლის წეობა

და რელიეფური დეკორი მას X საუკუნის თვალსაჩინო ძეგლთა რიცხვში აყენებს.

იფხის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფი ადგილობრივი ქვაზეკვეთილობის შესანიშნავი მაგალითია. იგი ამასთანავე თავისუფლად თავსდება ამ ეტაპის ქართული ხელოვნების განვითარების სკულპტურული მეტყველების არეში. აქ წარმოდგენილი ზომორფული გამოსახულებები პარალელურ პოულობენ როგორც ადგილობრივ სკოლაში, ისე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ხოლო მათი იდეური დატვირთვა აშკარად ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებიდან უნდა მომდინარეობდეს.

იფხის ეკლესიის ინტერიერის მოხატულობა ადრეული ხანის სვანეთის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი გვითვალსაჩინოებს ამ დროის სვანეთის მოხატულობებში დასახულ ძიებებს მოხატულობის საერთო ანსამბლის მხატვრულად გათლიანებულ სისტემად გაფორმება-ჩამოყალიბების მიმართულებით. მხატვრობის სტილური თავისებურებანი – ფიგურათა სახისა და სამოსის დამუშავების მანერა, ხაზის ექსპრესიული გამომსახველობა, ფონების ერთიანი შევსება დეკორატიული ვარდულებით – იმაზე მეტყველებს, რომ იფხის მხატვრობა იმავე ოსტატს ეკუთვნის, ვინც აცის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა შეასრულა.

იფხის ეკლესიის საფასადო მოხატულობა წარმოაჩენს სვანეთში ეკლესიის ექსტერიერის მხატვრობით შემკობის თავისებურებებს და მონუმენტურ მხატვრობაში ფერწერული ტემპლონების იმიტაციის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

ხელოვნებადმცოდნეობის კანდიდატი

მარინა ყვინია

## ტექნიკური მონაცემები და არსებული მდგომარეობა

### ა) საფუძვლის სტრუქტურა

#### 1. გამოყენებული მასალები - გათლილი შირიმის ქვა



ექსტერიერი



ინტერიერი

2. საფუძვლის სისქე - 90 სმ.

3. დაშვრობის კვალი - ინტერიერი გაქვარტლულია. კედლებზე სანთლის ნალვენიებია.



4. შენიშვნა: საფუძვლის სტრუქტურა კარგ მდგომარეობაშია - არ გააჩნია ბზარები და ნაკლები ადგილები.

### ბ) მოსაშხადებელი ფენები (ინტერიერი)

1. მოსაშხადებელი ფენა - ერთი

2. სისქე - 0.3-0.5 სმ.



3. გამოყენებული მასალა - სავარაუდოდ კირის დულაში ორგანული მინარევების გარეშე (საჭიროა ქიმიური ანალიზის გაკეთება)

4. შესრულების ტექნიკა და კვალი - ეკლესიის სიმაღლეზე დავაფიქსირეთ ორი ჰორიზონტალური ნაკერი (პონტატა)



5. ბზარები - უმნიშვნელო ბზარი, რომელიც იწყება საკურთხეველის სარკმელის თალიდან და გადადის კედლის ნაწილზე (სიგრძე დაახლოებით 30 სმ)



6. დაკარგული ადგილები - ინტერიერის მთელ პერიმეტრზე დაახლოებით 80 - 150 სმ სიმაღლეზე გვხვდება მოსაშზადებელი ფენის დანაკარგები. ზემო რეგისტრებში დანაკარგები უმნიშვნელოა.



მოსამზადებელი ფენის დანაკარგი დასავლეთის კედელზე.



7. ბიოლოგიური მიზეზებით გამოწვეული სახეცვლა - ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში და სამკვეთლოზე შევამჩნიეთ ზათესამის გავარდისფერება (საჭიროა ბიოლოგიური ანალიზის ჩატარება)

8. ნესტის კვალი - ოთხივე კედელზე იატაკიდან 1 მ-ის სიმაღლეზე testo 606-2-ით გავზომეთ ტენიანობა.



ძირითადად, 52.6 % ჰაერის ტენიანობაზე და 24.5 ° C-ზე მოსამზადებელი ფენის ტენიანობამ 0.6%-დან 1.9% შეადგინა. ნორმაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საკურთხევლის ჩრდილოეთ კუთხეში, ჩრდილოეთ კედელსა და დასავლეთის კედელზე (ამინდი წვიმიანი იყო). ჩვენის აზრით ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩრდილოეთის მხარეს ფერდობია, ეკლესიას არ გააჩნია მოწესრიგებული სარინელი და თანაც ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეზე მიდგმული აქვს ბეტონის ნახევარმეტრიანი ლობი, რომელიც სავარაუდოდ, კეტავს ფერდობიდან დაშვებულ წვიმის წყალს, რომელსაც მხოლოდ ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლის გავლით შეუძლია ქვემოთკენ დაშვება. ზამთარში აქ დიდი რაოდენობით თოვლი გროვდება და ამდენად ბათქაშიც დაზიანებულია.

განსხვავება საკურთხევლის კედლის ჩრდილოეთსა და სამხრეთ მხარეებს შორის. აშკარად ჩანს ჩრდილოეთის კედელზე მიშენებული ბეტონის ტიხრის გავლენა.





გარდა ამისა, ეკლესიის ხის კარი ახალია, საკმაოდ მჭიდროდ იკეტება და ხელს უშლის ეკლესიის განთავსებას.

9. შენიშენა - ეკლესიის მთელი ინტერიერი გაჭვარტლულია, არის სანთლის ნალექნთები და ადამიანის ხელის აწევის სიმაღლეზე ვანდალური ნაკაწრები.



## მოსამზადებელი ფენები (ფასადი)

1. მოსამზადებელი ფენა - კლესია მთლიანად შებათქაშებულია ერთი ფენა შელესილობით. მხოლოდ სამხრეთის ფასადია მოხატული სადაც ორი ფენის შელესილობა შეიმჩნევა.



2. ორივე მოსამზადებელი ფენის სისქე 0.1 - 0.2 სმ-ია და თეთრი-მოყვითალო ფერისაა

3. გამოყენებული მასალა - სავარაუდოდ კირის დუღაბი ორგანული მინარევების გარეშე (საჭიროა ანალიზების ჩატარება)

4. ფენებს შორის კავშირი - დარღვეულია



ორი მოსამზადებელი ფენა, რომელზეც მხატვრობის კვალია შემორჩენილი. მოსამზადებელ ფენებს შორის კავშირის დარღვევა.



ეს არ არის ნაკერი. ესაა ზედა და ქვედა მოსამზადებელ ფენებს შორის საზღვარი.

5. ბზარები - მოსამზადებელ ფენას გააჩნია კროკელურების მაგვარი წვრილ-წვრილი ბზარები.



6. დაკარგული ადგილები - მოსამზადებელი ფენის დანაკარგები  
ძირითადად ქვედა ადგილებშია




## გ) საღებავის ფენა (ინტერიერი)

1. საღებავის ფენა - მხატვრობა დასრულებულია და წარმოდგენილია ეკლესიის ყველა კედელზე.



2. გამოყენებული მასალები და ტექნიკა (ვიზუალური დაკვირვებით) - მოხატულობა სავარაუდოდ შესრულებულია მშრალი ტექნიკით (სეკო) და წყლის საღებავებით.



ერთი შეხედვით თითქოს შთაბეჭდილება რჩება, რომ მხატვრობა სველ ბათქაშზეა დაწყებული - სახისა და თმების ფერი

და აგრეთვე ფონის წითელი ფერი, რომელიც ჩამოცვენილი ნაცრისფერი ნახატის ქვეშოდან გამოსჭვივის.



ამ ფოტოზე კი ჩანს, რომ ფონის, სახისა და თმის საღებავის ფენა ჩამოცვენილია. ამდენად შეიძლება ვივარაუდოდ, რომ მხატვრობა მშრალი ტექნიკითაა შესრულებული. ამის დადგენა შესაძლებელი გახდება ხარაჩოს დადგმის შემდეგ.



მოსამზადებელი ნახატის კვალი ვიზუალური დაკვირვებით საერთოდ ვერ შევამჩნიეთ.



შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს მხატვარს მოსამზადებელი ნახატის გარეშე, პირდაპირ სხვადასხვა ფერის ლაქებით აქვს მხატვრობა დაწყებული.



ამ ფოტოზე ჩანს ნაკაწრი ხაზები რომელიც ნახატს იმეორებს და ესეთი ხაზები ვნახეთ რამოდენიმე ადგილას.

ამ ხაზების წარმოშობა ჩვენთვის ჯერ-ჯერობით გაურკვეველია.

ხომ არ არის ამ და სხვა ფიგურებიდან კალკა გადმოღებული, რის გამოც მოხდა კალკაზე ანაბეჭდის დატანა მყარი საგნით, რამაც გამოიწვია ნახატის მიხედვით მხატვრობის დაკაწრა?

3. საღებავის სახეცვლა - შარავანდედები საეჭვოდ შავია, საჭიროა ქიმიური ანალიზის ჩატარება საღებავის ფერის დასადგენად.



ფოტოზე ჩანს, რომ შავი ფერი სცდება შარავანდედის ზომას და ესეა ბევრ შემთხვევაში



ზომ არა არის ადრეული ჩარევების ზრალი? კონკრეტულად, მხატვრობის კვარტლისგან გაწმენდის მცდელობა. თუმცა არქივში ადრეული ჩარევებზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

4. შმკვერელის პრობლემა - მთელი მხატვრობის ზედაპირის საღებავის ფენა გაფხვიერებულია.
5. ფერებს შორის კავშირის პრობლემა - არის



6. დაკარგული ადგილები



7. ზედაპირული ნაღები - მთელი ვკლესია გაქვართლია და ადევს მრავალწლოვანი ქუჩები.
8. ვანდალიზმი - ადამიანის ხელის აწევის სიმალეზე ძალიან ბევრია ვანდალური წარწერები.



### საღებავის ფენა (ფასადი)

1. საღებავის ფენა - მზატვრობა მხოლოდ სამხრეთის ფასადზეა



2. გამოყენებული მასალა და ტექნიკა - მშრალი ტექნიკა (სეკო), ტემპერა



3. წარწერები - წითელი საღებავით შესრულებული.

4. საღებავის ფერის სხეველა - წითელი ფერი, რომლითაცაა ძირითადად ნახატი შესრულებული, ზოგან გამუქებულია.



5. შექვერელის პრობლემა - საღებავის ფენა გასამაგრებულია.

6. გადახეხილი ზედაპირები (შესანიკურად). ნაკაწრები



7. დაკარგული ადგილები



## დასკვნა

ეკლესია გადახურულია სპილენძის თუნუქით, რომელიც ფასადურ მხატვრობაზეც საკმაოდაა გადმოწეული და იცავს მხატვრობას მზის უშუალო ზემოქმედებისაგან და ატმოსფერული ნალექებისაგან.



ჩრდილოეთის კედლის ძირას, ზამთრის პერიოდში გროვდება დიდი რაიდენობით თოვლი, რომელსაც დნობის პერიოდში ორ მხარეს აქვს გასასვლელი: ეკლესიის საძირკველში და დასავლეთის კედლის გავლით ქვემოთ ფერდობზე. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩრდილოეთის კედელს მართობულად ზეტონის ღობე აქვს მიდგმული, რომელიც ხელს უშლის წყალს ჩრდილოეთის კედლის ძირში გავლით დაეშვას სამხრეთისკენ ფერდობზე.

ეკლესიას გააჩნია ორი სარკმელი - აღმოსავლეთით და სამხრეთით და აგრეთვე ერთი კარი სამხრეთით. კარები ხისაა, ახალია და მჭიდროდ კეტავს შესასვლელს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ეკლესიას ცუდი განიავება აქვს და მცირედ, მაგრამ მაინც აწუხებს სინესტე.

ეკლესიის საფუძვლის სტრუქტურა კარგადაა ნაშენი, მყარია, არ გააჩნია ბზარები და დანაკარგები.

ინტერიერში ერთი მოსამზადებელი ფენაა. ბათქაში თხელია და საკმაოდ მყარი, თუმცა გარკვეულ ადგილებში (განსაკუთრებით იატაკიდან 90- 150 სმ-ის სიმაღლეზე მორღვეულია და ქიმბია გასამაგრებელი. მოსამზადებელი ფენის დანაკარგები ზედა რეგისტრებში მცირეა.

მოსამზადებელი ფენის მოცილება საფუძვლის სტრუქტურისგან ქვედა რეგისტრებში უმნიშვნელოა, ზემო რეგისტრებში არ ვიციტ, ხარაჩოა საჭირო.

როგორც ავლნიშნეთ ეკლესიის სამხრეთის ფასადი მოხატულია. დაფიქსირდა მოსამზადებელი ფენის ორი შრე, რომლებზეც საღებავის კვალი აჩნევია. მოსამზადებელ ფენებს შორის კავშირი სუსტია და ზოგან ეს ფენები მოცილებულია ერთმანეთს. ბევრგან ქიმბია გასამაგრებელი.

ფასადზე საღებავად წითელი ფერია გამოყენებული, სავარაუდოდ წითელი ოხრა. მხატვრობა ძლიერაა გაცვეთილი და საღებავის ფენა გასამაგრებელია.

ვიზუალური დაკვირვებით ძველზე ვერ შევამჩნიეთ რაიმე სახის ადრინდელი ჩარევების კვალი. არც არქივში მოიპოვება მსგავსი ინფორმაცია. თუმცა არქივში 2008 წელს ჩატარებული პასპორტიზაციის მასალაა დაცული, რომელსაც ჩვენს მიერ გაცემულ ამ დოკუმენტაციას დაეურთავთ.

ინტერიერში მოსამზადებელი ფენისგან განსხვავებით საღებავის ფენის მდგომარეობა მძიმეა - ვიზუალური დაკვირვებით საღებავის ფენის თითქმის მთელი ზედაპირი გაფხვიერებულია და ძლიერაა გაქვარტლული. ამის გამო ძალიან გართულდება საღებავის ფენაზე საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება.

## **მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რეკომენდაციები დაზიანებების აღმოსაფხვრელად და გამოსაყენებელი მასალები**

საკონსერვაციო მასალები უნდა იყოს ავთენტურ მასალასთან თავსებადი და თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად შერჩეული.

მხატვრობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველ რიგში საჭიროა მხატვრობაზე ახლოდან საფუძვლიანი დაკვირვება და საღებავებზე ქიმიური ანალიზების ჩატარება, რა თქმა უნდა, რის საშუალებასაც მოგვეძლეს კვლევისთვის გამოყოფილი საკმაოდ მცირე ბიუჯეტი. გასარკვევია წმინდანების შავი ფერის შარავანდედები დაწვრობისგანაა გამავეებული, თუ სხვა მიზეზებითაა ფერი სახეცვლილი. კედლების გაქვარტელისა და საღებავის ძლიერი გაფხვიერების გამო რთული გასარჩევია თუ რომელია ქვარტლი და რომელი საღებავი, ამიტომ საჭიროა მოხატულობის კოლორიტის დადგენა. ამ ყველაფრის გარკვევა დაგვაზღვევს შეცდომისაგან მხატვრობის შესაძლო გაწმენდისა და გამაგრების დროს. მხატვრობის

განმნდა, ჩვენის აზრით, უმეტეს ადგილებში შესაძლებელია რბილი ფუნჯით, მტერისა და ჭვარტლის ჩამოხერტვის მეთოდით. კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია გამოხდილი წყლის ტამპონების ხმარება მხოლოდ მიდებით და გარკვეულ ადგილებში სპეციალური, ყველაზე რბილი სტრუქტურის საშლელის გამოყენება. ზემოთ ჩამოთვლილი ამ ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც კარგად გაირკვევა სად საღებავის ფენაა, სად დამწვარი საღებავი, სად სხვა მიზეზით სახეცვლილი საღებავი, სად ჭვარტლი და სად მტერი. კატეგორიულად გამოერიცხავთ სხვა რაიმე საშუალებით მშატერობის განმნდას.

საღებავის ფენის გამაგრების შესაძლებლობა გამოჩნდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი საშუალების შემდეგ და სავარაუდოდ მასალად გამოვიყენებთ მრავალფუნჯის გამოცდილ და აპრობირებულ წებოს primal SF-016-ის დაბალპროცენტის წყალხსნარს. წებოს დატანა მოხდება ფუნჯით და იაპონური ქაღალდით, ზოგ ადგილებში კი შეფრქვევით.

მოსაზრადებელი ფენის მდგომარეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის მძიმე მდგომარეობაში. დადგინდება ბათქაშის შემადგენლობა, დაშხადდება შესაბამისი დუღაბი და გამაგრდება ქიმიები. ინექტირება, თუ კვლევის შედეგად ამის აუცილებლობა დადგინდა, და ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მცირე ადგილებში, ქიმიების გამაგრებამდე ალბათ საჭირო გახდება, მოხდება ledan D-1-ით, რომლისაც ასევე მრავალწლიანი გამოყენების გამოცდილება გვაქვს და კარგად თავსებადია საქართველოში არსებული მოხატულობების მოსაზრადებელ ფენებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ინექტირებისას ბათქაშის დაკიდებული ადგილების დროებითი გამაგრება რაიმე სახის წებოებით არაა რეკომენდირებული, რადგანაც საღებავის ფენის დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, გართულდება შემდეგ ამ წებოს მოცილება.

საჭიროა ბიოლოგიური დაზიანებების გამოწვევი მიზეზების უფრო დეტალური შესწავლა. ჩვენი დაკვირვებით ეს პრობლემა ეკლესიაში არსებული ნორმაზე მაღალი ნესტიანობის გამოა, კვლევითი საშუალების პერიოდში სასურველია ტესტის საშუალებით კედლებისა და ინტერიერის ნესტიანობაზე დაკვირვების წარმოება დღეში რამოდენიმეჯერ და ცვალებადობის გრაფიკის შედგენა. ჩვენის აზრით ეს პრობლემა უნდა გადაწყვიტოს მცირე არქიტექტურულმა ჩარევებმა, მაგალითად როგორცაა: კარების გაღება და რკინის გისოსის დაყენება, ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული ბეტონის ლობის მოშლა (ეს პრობლემა ცოტა რთული განსახორციელებელი იქნება, რადგან ამ ბეტონის ლობით საფლავებია შემოზღუდული. სასურველია ეს პრობლემა სააგენტომ გადაწყვიტოს ადგილობრივი თემის თავკაცების ან მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით) და სარინელის ელემენტარული მოწესრიგება.

ეს რაც შეეხება ინტერიერს. ფასადურ მშატერობაზე საქმე უფრო იოლადაა, აქ მართალია მოსაზრადებელი ფენა უფრო დაზიანებული ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ საღებავის ფენა უფრო მაგრათაა. შერჩენილი ნახატი კარგად განიჩევა და მშატერობას არ ადევს ჭვარტლის ფენა. აქაც საკონსერვაციოდ ანალოგიური მასალა უნდა იქნეს გამოყენებული.

## წინასაპროექტო სამუშაოების წარმართვის მეთოდიკა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა.

ძეგლის მნიშვნელობიდან და შესასრულებელი საკონსერვაციო სამუშაოების სირთულიდან გამომდინარე, იფხის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობაზე წინასაპროექტო სამუშაოებში მონაწილეობა უნდა მიიღონ მაღალკვალიფიციურმა და სათანადო გამოცდილების მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა.

### მხატვარ-რესტავრატორი:

- ხარაჩოს დადგმა;
- მოხატულობის საერთო მოცულობის განსაზღვრა;
- დაზიანებათა იდენტიფიკაცია;
- დაზიანებათა ზუსტი ადგილ-მდებარეობის განსაზღვრა და სქემაზე დატანა პირობითი ნიშნების საშუალებით;
- ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოების ჩამონათვალი და მათი მოცულობების განსაზღვრა;
- 2008 წლის პასპორტიზაციის მასალების შესწავლა და დღევანდელ მდგომარეობასთან შედარება;
- ექსპედიციის განმავლობაში ტესტის საშუალებით კედლებისა და ჰაერის ტენიანობის გაზომვა.
- ინტერდისციპლინარული ჯგუფის რეკომენდაციებზე დაყრდნობით საკონსერვაციო მეთოდოლოგიის შემუშავება და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- საკონსერვაციო მასალების ავთენტურ მასალასთან თავსებადი და თანამედროვე საერთაშორისო საკონსერვაციო გამოცდილების შესაბამისად შერჩევა.
- ფოტო დოკუმენტაცია;
- ჩასატარებელი საკონსერვაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

### არქიტექტორ-რესტავრატორი:

- არქიტექტურის დღევანდელი მდგომარეობის შესწავლა;
- დღევანდელი მდგომარეობის შედარება საარქივო მასალასთან და ამგვარად არქიტექტურული ცვლილებების დაფიქსირება;
- საკიროების შემთხვევაში არქიტექტურული სამუშაოების პროექტირება;

### ხელოვნების ისტორიკოსი:

- რეკომენდაციები ძეგლის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევების შესახებ.

### ბიოლოგი, ქიმიკოსი:

- შესაბამისი ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების აღება, რომლებიც უზრუნველყოფენ ძეგლის შემდგომი რეაბილიტაციის სწორად წარმართვას.

მხატვარ-რესტავრატორი

დავით გაგოშიძე

## იფხის წმ. გიორგის (გრაგის) ეკლესია. არქიტექტურა

ლატალის თემის სოფელ იფხში მთის ფერდობზე აგებულია მცირე ზომის (552X387) დარბაზული ეკლესია. ეკლესია ნაგებია თლილი შირიმის ქვის კვადრებით. ფასადები ძირითადად სადაა, გამონაკლისია აღმოსავლეთ ფასადზე ფრონტონის წვერში რელიეფური კომპოზიცია, ადამიანის ორი ხელით და ცხოველების გამოსახულებით. ასევე სამხრეთის კედელზე აღმოსავლეთ კუთხეში, ადამიანის ხელის მტევნის რელიეფი. კარნიზი თაროსებურია შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. ინტერიერი ნათდება საკურთხეველში და სამხრეთ კედელში გაჭრილი ორი სარკმელით. მთლიანად შემორჩენილია ქვის, მრგვალ სვეტებიანი კანკელი. საკურთხეველი ამალღებულია. საკურთხევლი წინ ჯვრისთვის მოწყობილია ქვით ნაგები სადგამი. კედლებს გარს შემოუყვება დაბალი ჩამოსაქდომი. იატაკი როგორც სჩანს კირით იყო მოლესილი.

ეკლესია გადახურულია ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი სპილენძის საბურავით. სახურავი სამხრეთ კედლის მთელს გაყოლებაზე გადმოშვრილია 2 მ-ით და ეურდნობა ლითონის მილებს ეს გადმოშვება იცავს ამ კედელზე შემორჩენილ მხატვრობის ფრაგმენტებს.

ეკლესიას ჩრდილოეთით, (6-7 მ ის დაშორებით) ფერდობს მიუყვება ქვით ნაგები საყრდენი კედელი, რომელიც ნაგებობას იცავს ფერდობიდან მოსული ნალექისაგან, თუმცა ადგილობრივების თქმით ჩრდილოეთ კედელთან ნამჭერი მაინც გროვდება. (ინტერიერში აქ შეიმჩნევა სინესტე)

ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, არ არის არც ბზარები და გადახრა. ამდენად არ საჭიროებს კონსტრუქციულ და გეოლოგიურ ჩარევებს.

მომავლისათვის სასურველია ჩრდილოეთ კედლის გასწვრივ მიწის დონის დაწევა (არქეოლოგიის ზედამხედველობით) და მშრალი სარინელის მოწყობა, იატაკის კორხნარით მოლესვა. ეკლესიის ჩრდილო და სამხრეთ კედლების აღმოსავლეთ ნაწილებში მოსახსნელია რკინა ბეტონით აშენებული, ახალი საფლავების საყრდენი, კედლები.

არქ.რესტავრატორი თ. გაბუნია



ხედი წრდილო-აღმოსავლეთიდან



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



სამხრეთის ფასადი



ჩრდილოეთის ფასადი



რელიეფი აღმოსავლეთის ფრონტონზე



რელიეფი სამხრეთ კედელზე



აღმოსავლეთ კედლის რელიეფი ქვემოდან



სამხრეთ ფასადის გადახურვა




ჩრდილოეთ კედლის ძირი





დასავლეთი ფასადი

ინტერიერი



იატაკი

